



ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის პრევენცია საქართველოში

ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფების საქმიანობის მონიტორინგის ანგარიში

(პირველადი ანგარიში)

2022 წელი

# ულტრამემარჯვენე პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატიული მოძრაობა“

## შესავალი

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი 2019 წლიდან აკვირდება საქართველოში ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფების აქტიურობას. ამ ხნის განმავლობაში, ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადეს. მკვეთრად პრორუსული საგარეო ვექტორის გამო, საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია ახლად დაფუძნებული პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატიული მოძრაობა“.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია „კონსერვატიული მოძრაობის“ საქმიანობის შესწავლის პირველადი შედეგები. ანგარიშის შემუშავებისას პროექტის გუნდი დაეყრდნო როგორც ოფიციალურ და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებულ, ასევე, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წყაროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომელიც ალტერნატიული გზებითაც გადამოწმდა.

„კონსერვატიული მოძრაობა“ ულტრამემარჯვენე ღიად პრორუსული „ალტ-ინფოს“ პოლიტიკური წარმონაქმნია. მისი საშუალებით ულტრამემარჯვენე დაჯგუფება, რომელიც საზოგადოებაში თავდაპირველად ტელევიზიის ფორმით გამოჩნდა, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვას ცდილობს. პარტიის პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობაში არიან ირაკლი მარტინენკო, ირაკლი მორგოშია, გიორგი ქარდავა და ვასილ გვალია. „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერები 2021 წლის 5 ივლისის მასობრივი ძალადობის ორგანიზატორები არიან.<sup>1</sup> თუმცა მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დრომდე არ დამდგარა.

2021 წლის 20 ნოემბერს პარტიის დამფუძნებლებმა პარტიის ყრილობაზე ღიად განაცხადეს „კონსერვატიული მოძრაობის“ პრორუსული და ანტიდასავლური საგარეო ვექტორის შესახებ. ზურა მახარაძემ პარტიის მიზნებად საქართველოში „ლიბერალური დიქტატურის“ დასრულება და „ქრისტიანული დემოკრატიის“ შექმნა დაასახელა.<sup>2</sup>

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, „კონსერვატიული მოძრაობა“ 2021 წლის 7 დეკემბერს [დარეგისტრირდა](#). პარტიის თავმჯდომარეა ზურაბ მახარაძე, გენერალური მდივანი კი - გიორგი ქარდავა<sup>3</sup>. ორივე „ალტ-ინფოს“ სახეა.

„კონსერვატიულმა მოძრაობამ“ საჯარო რეესტრს პარტიად რეგისტრაციის მოთხოვნით ჯერ კიდევ 2021 წლის ნოემბერში მიმართა, თუმცა მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და განცხადებაზე [სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა](#). რეგისტრაციაზე უარის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ „ალტ-ინფოს“ მიერ რეესტრში წარდგენილი წევრთა სია არ შეიცავდა ინფორმაციას მათი პირადი ნომრების შესახებ. გარდა ამისა:

<sup>1</sup> ხელმისაწვდომია - [shorturl.at/dxJ27](https://shorturl.at/dxJ27)

<sup>2</sup> ხელმისაწვდომია - <https://www.youtube.com/watch?v=1FaAe5H5qjk>

<sup>3</sup> რადიო თავისუფლება, 2021, „რეესტრმა ალტ-ინფოს პარტია დაარეგისტრირა“, ხელმისაწვდომია <https://www.radiotavisupleba.ge/a/31597491.html>

- სარეგისტრაციოდ წარდგენილი ემბლემის ესკიზი არ შეესაბამებოდა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წესდებით განსაზღვრულ აღწერილობას;
- სარეგისტრაციოდ წარდგენილი წესდებით პარტიის ყრილობა არ იყო განსაზღვრული ხელმძღვანელ ორგანოდ. ასევე, სარევიზიო კომისია არ მოიხსენიებოდა ერთგვაროვნად;
- წესდება პარტიის პოლიტიკური საბჭოს, სარევიზიო კომისიისა და პარტიის თავმჯდომარის არჩევის ნაცვლად მათ დანიშვნას ითვალისწინებდა;
- წესდება არ ითვალისწინებდა პარტიის ქონების გამოყენების წესს;
- წესდების ორი მუხლი ერთმანეთთან შეუსაბამო იყო.

არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად „ალტ-ინფოს“ 10 დღის [ვადა](#) მიეცა. ხარვეზების გასწორების შემდეგ პარტიად ოფიციალურად დარეგისტრირდა.

## 1. პარტიის გაფართოება, პირველი ნაბიჯები და შემოწირულებები

პარტიად რეგისტრაციის შემდეგ „ალტ-ინფოს“ ჯგუფმა 2022 წლის იანვრიდან აქტიურად დაიწყო ოფისების გახსნა საქართველოს მასშტაბით. კონსტანტინე მორგოშის [განცხადებით](#), მარტის ბოლოს პარტიული ოფისების რაოდენობა 80 იქნებოდა; ამის შემდეგ კი დაიწყებდნენ ოფისების გახსნას საზღვარგარეთ.

თებერვალში ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირება დაიწყო 25 ოფისმა და მოიცვა კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და დასავლეთ საქართველოს რეგიონები. ასეთმა სწრაფმა გაფართოებამ გააჩინა კითხვები პარტიის ფინანსურ რესურსთან დაკავშირებით.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წყაროს ინფორმაციით თითოეული ოფისის ყოველთვიური ქირა 1,500-დან 2500 ლარის ფარგლებში მერყეობს. თუმცა არის რეგიონები, სადაც ოფისის ღირებულება 1,000 ლარამდე აღწევს. ამ ხარჯს ასევე ემატება იმ პირების შრომის ანაზღაურებაც, რომლებიც „ალტ-ინფომ“ ადგილობრივ ოფისებში დაასაქმა. თითოეული ასეთი ოფისისთვის საშუალოდ გამოყოფილია 5-6 თანამშრომელი. მათი შრომის ანაზღაურება ამ ეტაპისთვის გასაიდუმლოებულია. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წყაროს გადმოცემით, თანამშრომელთა უმეტესობა ხელფასს არა საბანკო გადარიცხვით, არამედ ხელზე იღებს, რაც აღრმავებს ეჭვებს პარტიის დაფინანსების წყაროსა და ოდენობის შესახებ.

ინფორმაცია „კონსერვატიული მოძრაობის“ ფინანსების შესახებ დიდი ხნის განმავლობაში ხელმისაწვდომი არ იყო, იმის მიუხედავად, რომ, პარტიის დამფუძნებლების განცხადებით, ისინი სრულიად გამჭვირვალედ ფინანსდებიან როგორც ადგილობრივი, ისე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მცხოვრები [ბიზნესმენების მხრიდან](#), რომლებსაც საქართველოსთან „პრაქტიკულად არავითარი კავშირი“ არა აქვთ.<sup>4</sup>

თებერვლის მიწურულს პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის გვერდზე გამოჩნდა [ინფორმაცია „კონსერვატიული მოძრაობის“](#) დამფინანსებელთა შესახებ. გიორგი ქარდავას

<sup>4</sup> რადიო თავისუფლება, 2021, „მომზადება აუცილებელია - რატომ ქმნის „ალტ-ინფოს“ ჯგუფი პარტიას?“

თქმით, „ალტ-ინფოსა“ და ახლა უკვე „კონსერვატიულ მოძრაობას“ დიდწილად კონსტანტინე მორგოშია აფინანსებს, თუმცა ინფორმაცია მორგოშიას მიერ პარტიის დაფინანსების შესახებ ოფიციალურად ხელმისაწვდომი არ არის, ოფიციალურად გამჟღავნებული შემოწირულებები კი არ შეიძლება საკმარისი იყოს უკვე გახსნილი ოფისების ქირის, თანამშრომელთა ხელფასებისა და სხვა ხარჯების გასასტუმრებლად.

დეკემბრიდან მოყოლებული, „კონსერვატიულმა მოძრაობამ“ 60-მდე ოფისი გახსნა რეგიონებში. ოფისების უმეტესობა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში იხსნება, რაც დიდ ხარჯებთან უნდა იყოს დაკავშირებული. [ოფიციალური მონაცემებით](#), დაფუძნებიდან 22 მარტის ჩათვლით, პოლიტიკური პარტიის შემოსავალი უკვე 90,935 ლარია. პოლიტიკური გაერთიანების მიერ ოფიციალურად დეკლარირებული შემოწირულების ოდენობა ბოლო 6 დღის განმავლობაში თითქმის გასამმაგდა. თუ 2022 წლის 16 მარტის მდგომარეობით „კონსერვატიული მოძრაობის“ ოფიციალურად დეკლარირებული შემოწირულებების ჯამური ოდენობა 36,675 ლარი იყო, 21 მარტის შუადღის მონაცემებით ეს თანხა 44,725 ლარი გახდა. 22 მარტს კი, წინამდებარე ანგარიშისთვის საბოლოო სახის მიცემის დროისთვის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, თანხა 90,935 ლარია.

ამ დროისთვის, პარტიის ყველაზე მსხვილი შემომწირველია ზეზვა ჩანქსელიანი (8,000 ლარი). მან 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს სალომე ზურაბიშვილს, რომელსაც მხარს მმართველი პოლიტიკური ძალა უჭერდა, 1,000 ლარი [შესწირა](#). ზეზვა ჩანქსელიანი [ფლობს](#) არაერთ კომპანიას. პარტიის შემომწირველების აბსოლუტური უმრავლესობა პარტიის რეგიონული ოფისების ხელმძღვანელები არიან. თავის მხრივ, მათ დიდ ნაწილს, პარტიისთვის თანხა ორ-ორჯერ აქვს შეწირული.

ოფიციალურად დეკლარირებული შემოწირულებების თითქმის გასამმაგების მიზეზი „კონსერვატიული მოძრაობის“ მიმართ გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესით უნდა აიხსნას. თუმცა ეს ვერ მოხსნის ეჭვებს, როგორ შეძლო წარსული გამოცდილების არმქონე ახლად შექმნილმა მოძრაობამ პარტიის 60-მდე ფილიალის გახსნა 36,675 ლარით - 16 მარტის მდგომარეობით, პარტიას თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით უკვე გახსნილი ჰქონდა 59 ოფისი.

## 2. „კონსერვატიული მოძრაობის“ ოფისები რეგიონებში და საზოგადოების წინააღმდეგობა

პარტიული ოფისების გახსნა „კონსერვატიულმა მოძრაობამ“ 2021 წლის დეკემბერში სამეგრელოდან დაიწყო. პირველი ოფისი 27 დეკემბერს ზუგდიდში გაიხსნა. ოფისის ხელმძღვანელი გია გულუაა. ზუგდიდის შემდგომ ოფისი გაიხსნა ხობში, რომელსაც როსტომ კილასონია [ხელმძღვანელობს](#). როსტომ კილასონია 2013 წელს ხობის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი იყო, თუმცა 2013 წლის ოქტომბერში „ქართული ოცნების“ კოალიცია დატოვა და ნინო ბურჯანაძის ბლოკში გადავიდა. ამის მთავარი მიზეზი, მისი [განცხადებით](#), იყო „ქართული ოცნების“ კოჰაბიტაცია ნაციონალური მოძრაობასთან.

მარტვილში, „კონსერვატიული მოძრაობის“ ოფისის ხელმძღვანელად დაინიშნა [ოთარ დანელია](#), წალენჯიხაში კი [გიორგი ნაჭყებია](#). აბაშის ოფისის ხელმძღვანელია [ზურაბ ცომია](#).

პარტიის მორიგი გაფართოება ბორჯომსა და ახალციხეში ოფისების გახსნით გაგრძელდა. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ოფისი წმინდა ნინოს N1-ში მდებარეობს და მას [შორენა კობიძე](#) უხელმძღვანელებს. შორენა კობიძე „ალტ-ინფოს“ გადაცემების ხშირი სტუმარია. „კონსერვატიული მოძრაობის“ ახალციხის ოფისი კეცხოველის N1-ში მდებარეობს და მისი ხელმძღვანელები სიმონ ელიაშვილი და აკაკი ჯელია არიან.<sup>5</sup>

შემდგომ ეტაპზე, პარტიამ ოფისები გახსნა საჩხერეში, ჭიათურასა და ზესტაფონში. საჩხერის ოფისის ხელმძღვანელია ლაშა გომართელი. ჭიათურაში „კონსერვატიული მოძრაობის“ ოფისის ხელმძღვანელებად გიორგი ლოზჯანიძე და ზაურ მოდებაძე დაინიშნენ. რაც შეეხება [ზესტაფონის ოფისს](#), მას დავით ჭუმბურიძე და ბესიკ ლეონიძე უხელმძღვანელებენ. ოფისის ხელმძღვანელთა ვინაობა საზოგადოებას არაფერს ეუბნება. გადამოწმების შედეგადაც აღმოჩნდა, რომ მათ არა აქვთ რაიმე სახის პოლიტიკური წარსული.

ოფისები ზემო სვანეთის რეგიონშიც გაიხსნა. მესტიის ცენტრში, თამარ მეფის ქუჩა N16-ში მდებარე შენობა, სადაც „კონსერვატიული მოძრაობის“ რაიონული ორგანიზაცია განთავსდა, იური (ხუტა) რატიანს ეკუთვნის. იგი მესტიის მუნიციპალიტეტის მესტიის ადმინისტრაციული ერთეულის დემოკრატიული მართვის განვითარების ფონდის ყოფილი გენერალური [დირექტორია](#). 2018-2019 წლებში იური რატიანი მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია [„ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველოს“](#) თავმჯდომარის მოადგილე იყო. ის კენჭს 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებშიც იყრიდა, ამავე პარტიის [სიის მეოთხე ნომრად](#), მაგრამ საკრებულოს წევრი ვერ გახდა. აღსანიშნავია, რომ ამავე შენობაშია მესტიის საოლქო-საარჩევნო კომისიაც.

საქართველოს სხვა რეგიონებში გახსნილი ოფისების ხელმძღვანელებისგან განსხვავებით, რომელთა ვინაობაც არაფერს მიგვანიშნებს, მესტიაში პრორუსული პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა გიორგი რატიანი, რომელიც 2017 წლიდან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის თანამშრომელი იყო და მესტიის მუნიციპალიტეტს კურირებდა. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2021 წლის სექტემბრიდან რატიანი სუს-ის თანამშრომელი აღარ არის. ის საინიციატივო ჯგუფმა გასული წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებში მესტიის მერობის კანდიდატად [წარადგინა](#). არსებობს ვარაუდი, რომ რატიანმა მესტიის მერობაზე კენჭი სუს-ის დავალებით იყარა - გიორგი გახარიას და ანა დოლიძის პარტიებიდან წარდგენილი მერობის კანდიდატებისთვის ხმების გარკვეული რაოდენობის წასართმევად. გიორგი რატიანი ამ ინფორმაციას უარყოფდა. არჩევნები პირველივე ტურში სახელისუფლებო პარტიის კანდიდატმა მოიგო 64.34 %-ით. გიორგი რატიანმა ხმების 9.01% (412 ხმა) [მიიღო](#).

2022 წლის 2 მარტს მესტიაში გაიმართა უკრაინის მხარდასაჭერი აქცია, სადაც გაიჟღერა აზრმაც, რომ საქართველოში პრორუსულ პარტიებსა და ტელეკომპანიებს არსებობის საშუალება არ უნდა ჰქონდეთ. ამის შემდეგ აქციის მონაწილეებმა „კონსერვატიული მოძრაობის“ ახლად გახსნილ ოფისთან გადანიაცვლეს და ოფისის დაკეტვას მოითხოვედნენ. აქცია ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა; ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ადგილობრივი მოსახლეობა და პარტიის წარმომადგენლები. საბოლოოდ, ფართის მეპატრონისგან აქციის წევრებმა მიიღეს დაპირება, რომ პარტია ოფისს უმოკლეს ვადაში [დაცლიდა](#).

---

<sup>5</sup> შოთა მარტინენკოს ფეისბუქგვერდი, 2022 წლის 13 თებერვლით დათარიღებული პოსტი, ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/100074583109872/videos/4767769213260158/> ბოლოს ნანახია 18/03/2022

მესტიამდე მსგავსი დაპირისპირება ადგილობრივ მცხოვრებლებსა და „კონსერვატიული პარტიის“ წარმომადგენლებს შორის ამბროლაურშიც მოხდა 27 თებერვალს. ამბროლაურის მცხოვრებლებმა უფრო ფართომასშტაბიანი აქციები დააანონსეს, რომლებიც მათი განცხადებით, მანამდე გაგრძელდება, სანამ პარტია არ დატოვებს რაჭას<sup>6</sup>. აჭარის რეგიონში კი, კერძოდ [ხულოსა](#) და [შუახევში](#), მოსახლეობამ რეგიონში პარტიის ოფისის დაფუძნება გახსნისთანავე გააპროტესტა. პროტესტის გამო ოფისები მეორე დღესვე დაიხურა. ამასთან დაკავშირებით პარტიის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე დაიდო განცხადება:

*რაც შეეხება ხულოს ოფისს, ფართის მეპატრონე საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებამდე გახდა ზეწოლის მსხვერპლი ნაც-ლიბერალების და ვაჰაბიტების მიერ მართული ძალებისგან, რის შედეგადაც ხულოს ოფისი დროებით დაიხურა.<sup>7</sup>*

ხმაური მოჰყვა ოფისის გახსნას საგარეჯოშიც, სადაც 14 მარტს მოსახლეობამ გააპროტესტა პარტიის გაფართოება კახეთის რეგიონში.<sup>8</sup> რაზეც პარტიის ერთ-ერთ ლიდერმა კონსტანტინე მორგოშიამ განაცხადა, რომ არსებული პროტესტი კარგის მანიშნებელია და მიუთითებს იმაზე, რომ პარტია სწორ ნაბიჯებს დგამს:

*ჩვენ 60-მდე ფილიალი გვაქვს გახსნილი, ამ დღეებში კიდევ ვგეგმავთ. არცერთი დღით არ გადაგვიხვევია ჩვენი მიზნიდან და კურსიდან... ეს გვაჩვენებს იმას, რომ ე.ი. სწორი მიმართულებით ვვითარდებით, რადგან პროტესტი არსებობს. ეს ჩვენ, პირიქით, გვახარებს [პროტესტი], რადგან ე.ი. სწორ ნაბიჯებს ვდგამთ. 64 რეგიონია და ეს ოთხივე გაიხსნება რამდენიმე დღეში. დამატებით, პირიქით, რამდენიმეს ჩავამატებთ კიდევ.<sup>9</sup>*

ოფისის გახსნას ადგილობრივებსა და პარტიის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირება მოჰყვა ოზურგეთშიც. 2022 წლის 13-14 მარტს ადგილობრივმა მოსახლეობამ გურიის რეგიონში პრორუსული ძალის გავრცელება გააპროტესტა. მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „კონსერვატიულ მოძრაობას“ ოზურგეთში, შემოქმედის ეპარქიის წევრი, მღვდელი [ვახტანგ თოხაძე](#) უწყობს ხელს. ამასთან დაკავშირებით ეპარქიის მიტროპოლიტმა იოსებმა განაცხადა, რომ ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში მამა ვახტანგს მღვდლობა [შეუქნრდება](#). აღსანიშნავია ადგილობრივი მოსახლეობის დაპირისპირებაც, რომელმაც პარტიას ოფისის გახსნის საშუალება არ [მისცა](#). ოზურგეთში პარტიის ოფისი განთავსდა იმ ფართში, რომელიც მერიის ბალანსზე ფიქსირდება და წინასაარჩევნოდ მას „ქართული ოცნება“ ქირაობს. 16 მარტს ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის გამო პარტია იძულებული გახდა, [დაეხურა](#) ოზურგეთის ოფისი, რომელსაც ფუნქციონირებაც არ ჰქონდა დაწყებული.

მოსახლეობამ აქციისთვის მზადება დაიწყო ლანჩხუთშიც, სადაც იგეგმებოდა ოფისის გახსნა. ოფისის ხელმძღვანელად დაინიშნა ლანჩხუთის ყოფილი გამგებელი და ბიზნესმენი [გია](#)

<sup>6</sup> პუბლიკა, 2022, „რაც მესტიამო მოხდა, სტიმულია, გავისტუმრებთ აქედანაც“ - პროტესტი „ალტ-ინფოს“ პარტიას რეგიონებში, ხელმისაწვდომია <https://publika.ge/alt-info-regionebi/?fbclid=IwAR0JA88jydvikXvTCItf2DbVePSmG25gCybWPCvufFdaE-0-uJP-8XUjNaA>

<sup>7</sup> კონსერვატიული მოძრაობის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, 8 მარტით დათარიღებული პოსტი, ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/conservative.movement.official/posts/132283789324549>

<sup>8</sup> რადიო თავისუფლების ფეისბუქგვერდი, 14 მარტი, 2022, <https://www.facebook.com/radiotavisupleba/posts/10160149601817360>

<sup>9</sup> პუბლიკა, 3 მარტი 2022, „რაც მესტიამო მოხდა, სტიმულია, გავისტუმრებთ აქედანაც“ - პროტესტი „ალტ-ინფოს“ პარტიას რეგიონებში“

გათუა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წყაროს ინფორმაციით, იგი მმართველი პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის მამის ახლო მეგობარია და რეგიონში დიდი გავლენებით სარგებლობს. მის საკუთრებაშია შპს ივერია 7, რომელსაც საერთო ჯამში 10,937,112.13 ლირებულების კონტრაქტები აქვს მოგებული.

გურიის შემდგომ საპროტესტო ტალღამ გადაინაცვლა მარნეულშიც, სადაც 14 მარტს სამოქალაქო აქტივისტმა, სამირა ბაირამოვამ, თებერვალში მარნეულის ცენტრში გახსნილი ოფისის ფასადი უკრაინისა და ევროკავშირის დროშების ფერებად შეღება და განაცხადა, რომ „კონსერვატიული მოძრაობა“ წარმოადგენს პრორუსულ ძალას, რომელიც ეთნიკური უმცირესობების მიმართ შეუწყნარებელია და საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოებრიობას.<sup>10</sup>

პროტესტი მოჰყვა პარტიის ოფისის გახსნას ქობულეთში. ადგილობრივი ოფისი 2022 წლის 12 მარტს გაიხსნა. თელავში „კონსერვატიულმა მოძრაობამ“ ოფისი ქალაქის ცენტრში, მერიის შენობისა და გუბერნატორის ადმინისტრაციის მიმდებარედ გახსნა. ოფისის თავმჯდომარედ დაინიშნენ ილია მეგრელიშვილი და გია კარჭაული. ეს უკანასკნელი პარტია „ეროვნული ფორუმის“ ყოფილი წევრია. პარტიის ოფისი ახმეტაშიც ქალაქის ცენტრში, მერიის წინ განთავსდა. შენობა, სადაც ფართი იქირავეს, „ქართული ოცნების“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის კახა მამულაშვილის ოჯახს ეკუთვნის. თუმცა, როგორც ის აცხადებს, „კონსერვატიულ მოძრაობასთან“ არანაირი კავშირი აქვს და მათ მხოლოდ ფართი მიაქირავა.

პროტესტის ფონზე ჩაიარა კონსერვატიულმა მოძრაობის ოფისის გახსნამ 20 მარტს ახალციხეში.

პარტიის ახალ წევრებს შორის, რომლებიც რეგიონული ოფისების ხელმძღვანელებად ინიშნებიან, აღსანიშნავია რუსთავის ოფისის ხელმძღვანელი მერაბ გიგანიც, რომელიც ალექსანდრე ქარდავას ბიზნესპარტნიორია. ალექსანდრე ქარდავა „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ქარდავას ძმაა. ალექსანდრე ქარდავა და მერაბ გიგანი წილს ფლობენ „შპს ვიქტორია +“-ში. გიგანი „კონსერვატიული მოძრაობის“ შემომწირველთა სიაშიც ფიგურირებს. ის 2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივ პროცესებში მონაწილეობდა და „სცენიდან“ აკონტროლებდა მიმდინარე მოვლენებს. შეიძლება ითქვას, გიგანი გამონაკლისია პარტიის ოფისების ხელმძღვანელებს შორის, რომელთა წარსულიც ძირითადად დაკავშირებული არ არის „ალტ-ინფოსთან“ ან მის რომელიმე ლიდერთან.

სხვადასხვა რეგიონში საზოგადოების მხრიდან ამგვარი დაპირისპირების მიუხედავად, 14 მარტს „კონსერვატიული მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, კონსტანტინე მორგოშიამ მედიასთან ინტერვიუში თქვა, რომ პარტია კიდევ უფრო გაფართოვდება და სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად პარტიის ლიდერები მიდიან რუსეთში, რათა შეხვედრები გამართონ რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან, რომლებსაც სურთ, ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები „დალაგდეს“. კონსტანტინე მორგოშიამ მედიისთვის გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნა, რუსეთში გამოჩნდნენ სუბიექტები, რომლებიც მზად არიან, რომ ხელი შეუწყონ „კონსერვატიული პარტიის“ გაძლიერებას ფინანსური თვალსაზრისით. მისი

<sup>10</sup> რადიო თავისუფლება, 14 მარტი, 2022, მარნეულში „კონსერვატიული მოძრაობის“ ოფისი უკრაინის დროშის ფერებში შეღებეს, ხელმისაწვდომია <https://www.radiotavisupleba.ge/a/31752637.html?fbclid=IwAR1gSyI6Ede4ZkxE1Q-T-veh8VHW5wCStJrShA-j9TKdH5tdnifPcieAbRw>

განცხადებით, „მაღე ფინანსურად მყარად იქნებიან, რადგან გამოჩნდნენ ისეთი ადამიანები, მათ შორის რუსეთიდან, რომლებიც მათ მხარს დაუჭერენ.“

იმის გათვალისწინებით, რომ „კონსერვატიული მოძრაობა“ ახლად შექმნილია, პოლიტიკური წარსული არ გააჩნია და ამ ეტაპზე ბუნდოვანი ჩანს მისი სამომავლო პერსპექტივა, ეჭვს იწვევს რუსული პოლიტიკური წრეების „კონსერვატიულ მოძრაობასთან“ თანამშრომლობის სურვილი. ნიშანდობლივია ისიც, რომ დღეს რუსეთში პოლიტიკური წრე მხოლოდ კრემლის სახელისუფლებო პარტიით შემოიფარგლება.

### დანართი „კონსერვატიული მოძრაობის“ ოფისები

1. თბილისი - სააკაძის მე-2 გასასვლელი, 11ა
2. ზუგდიდი - გამსახურდიას # 32. ხელმძღვანელი გია გულუა
3. ხობი - გამსახურდიას #2. ხელმძღვანელი როსტომ კილასონია
4. აბაშა - თავისუფლების #75. ხელმძღვანელი ზურაბ ცომაია
5. წალენჯიხა - გამსახურდიას #2. ხელმძღვანელი გიორგი ნაჭყებია
6. მარტვილი - თავისუფლების #12 ა. ხელმძღვანელი ოთარ დანელია
7. მესტია - თამარ მეფის #16. ხელმძღვანელი გიორგი რატიანი
8. დმანისი - 9 აპრილის #52. ხელმძღვანელი გიორგი არღვლიანი
9. რუსთავი - შარტავას #21. ხელმძღვანელი მერაბ გიგანი
10. თელავი - გოდერძი ჩოხელის #2. ხელმძღვანელები ილია მეგრელიშვილი და გია კარჭაული
11. ლაგოდეხი - ქიზიყის #26. ხელმძღვანელი ვახო ბარბაქაძე
12. კასპი - ევრემ მეორეს #6. ხელმძღვანელი გიგა კარბელაშვილი
13. ხაშური - ტაბიძის #7. ხელმძღვანელები გიორგი კიკნაძე და რამაზ ნოზაძე
14. თეთრიწყარო - მერაბ კოსტავას #1. ხელმძღვანელები ანტონ თამლიანი და თამაზ ბექაური
15. გარდაბანი - აღმაშენებლის #64. ხელმძღვანელი გიორგი დადვანი
16. ბორჯომი - წმ. ნინოს #1. ხელმძღვანელი შორენა კობიძე
17. ახალციხე - კეცხოველის #1. ხელმძღვანელი სიმონ ელიაშვილი და აკაკი ჯელია
18. ახმეტა - ბახტრიონის #1. ხელმძღვანელი ჯიმშერ ბუხაჩაური
19. ყვარელი - ჭავჭავაძის ქ. #111. ხელმძღვანელი გოჩა კეკელიძე
20. წნორი - აღმაშენებლის ქ. #5. გიორგი ხატიაშვილი
21. საჩხერე - ი. გომართელის #8. ხელმძღვანელი ლაშა გომართელი
22. ჭიათურა - ე. ნინოშვილის #23. ხელმძღვანელები გიორგი ლობჟანიძე და ზაურ მოდებაძე
23. ზესტაფონი - აღმაშენებლის ქ. #27. ხელმძღვანელები დავით ჭუმბაძე და ბესიკ ლეონიძე
24. სამტრედიის - ი.ჭავჭავაძის #28. ხელმძღვანელი გია ვაშაკიძე
25. სენაკი - ი. ჭავჭავაძის #95. ხელმძღვანელი გიორგი ბოკუჩავა
26. ფოთის - აღმაშენებლის #9. ხელმძღვანელი დავით დვალიშვილი
27. ჩხოროწყუ - აღმაშენებლის #14. ხელმძღვანელები ბექა გაბედავა და ემზარ მიქავა
28. ბათუმი - ვახტანგ გორგასლის #127. ხელმძღვანელი გოგი ქაღიძე
29. ქუთაისი - თამარ მეფის #40. ხელმძღვანელი გიგა სულაკაძე
30. ვანი - ჯვრის მოედანი. ხელმძღვანელი გოგი რევაზ ფაშკურიძე



31. ხონი - თავისუფლების მოედანი #3. ხელმძღვანელი გია მანაგაძე
32. წყალტუბო - ტაბიძის #13. ხელმძღვანელი ზაზა მუსელიანი
33. ტყიბული - გამსახურდიას #30. ხელმძღვანელი არსენ ფოფხაძე
34. ბაღდათი - რუსთაველის #19. ხელმძღვანელი მამუკა კვეციანი
35. თერჯოლა - რუსთაველის #68. ხელმძღვანელი ზაურ ობოლაძე
36. დუშეთი - რესტორან არაგვის მიმდებარედ. ხელმძღვანელები აზო სამხარაძე და მარინე ლაფანაშვილი
37. ქარელი - ნინოშვილის #2. ხელმძღვანელები მარიამ მიქაცაძე და ესტატე ხოსრუაშვილი
38. გორი - სტალინის #18. ხელმძღვანელი გელა მეგრელიშვილი
39. ახალქალაქი - მაშტოცის #31. ხელმძღვანელი არარატ ქამალიანი
40. ნინოწმინდა - ტერიანის #1. ხელმძღვანელი იურიკ მდდესიანი
41. ლენტეხი - თამარ მეფის #15. ხელმძღვანელები ალექო ბენდელიანი და ლაშა ლიპარტელიანი
42. ცაგერი - კოსტავას #27. ხელმძღვანელები ნიკოლოზ ლიპარტელიანი და გიორგი კენჭაძე
43. ონი - კახაბრიძის #17. ხელმძღვანელი გიორგი ლობჯანიძე
44. ამბროლაური - ბრატისლავას - რაჭის #1. ხელმძღვანელი გოჩა ხურციძე
45. საგარეჯო - ერეკლე მეორის #74. ხელმძღვანელი მიხეილ ტიტველაშვილი
46. გურჯაანი - რუსთაველის #21. ხელმძღვანელი ნოდარ ჩაკვეტაძე
47. დედოფლისწყარო - ჰერეთის #35. ხელმძღვანელი დემნა კარატიელი
48. ხარაგაული - სოლომონ მეფის #7. ხელმძღვანელი გიორგი (გოგი) ლაცაბიძე
49. თიანეთი - რუსთაველის #20. ხელმძღვანელები ლადო არაბული და ზურაბ მოკვერამიანი
50. მცხეთა - ანტიოქიის #12. ხელმძღვანელი თენგიზ ვეშაგური
51. ლანჩხუთი - თბილისის ქუჩა N1. ხელმძღვანელი გია გოთუა
52. ოზურგეთი - ჭავჭავაძის N12. ხელმძღვანელი მიშა ანდლულაძე
53. ჩოხატაური - რუსთაველის N4. ხელმძღვანელი რომან გოგიბერიძე
54. ქობულეთი - აღმაშენებლის N152. ხელმძღვანელი ილია ბენიძე
55. ქედა - 9 აპრილის #1. ხელმძღვანელი რომან ბერიძე
56. ხელვაჩაური - ფრიდონ ხალვაშის გამზირი #350. ხელმძღვანელები გიორგი შარაბიძე და მირზა მახარაძე
57. ხულო - ჩაიშალა
58. შუახევი - ჩაიშალა
59. ადიგენი - რუსთაველის 10 ა. ხელმძღვანელები ბესიკ ზარიძე და შალვა ზარიძე
60. ახალციხე - კეცხოველის ქ. 1, ხელმძღვანელები სიმონ ელიაშვილი და აკაკი ჯელია